პოლიტიკური პროცესის არსი და როლი ტრანსფორმირებად საზოგადოებაში

ჯამბულ ნაჭყებია
სტუ-ს დოქტორანტი

ცნება "პოლიტიკური პროცესი" ხშირად გამოიყენება არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მასმედიასა და ყოველდღიური მეტყველებაში. ცნებას განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ადამიანისათვის და განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენებოდეს სხვადასხვა რამის აღსანიშნავად. მაგალითად, „პოლიტიკურ პროცესში" საბჭოთა სინამდვილეში და ნაწილობრივ შემდეგაც „სხვაგვარად მოაზროვნეთა" მიმართ" სახელმწიფოს მიერ სადამსჯელო აპარატის გამოყენებას გულისხმობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკური პროცესი ერთ-ერთი საბაზისო ცნებაა, მის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. არადა ცნება მკაფიო, ზუსტი და შეთანხმებული უნდა იყოს, რათა მან სწორად შეასრულოს შესასწავლი ობიექტის, მისი ერთ-ერთი თვისების ან ქცევითი ფენომენის აბსტრაგირებული (განყენებული) წარმოდგენა-გამოსახვისა და თეორიის კონსტრუირების საფუძვლის, ასევე კომუნიკაციის ფუნქცია.

„პოლიტიკური პროცესის" ცნება ორი ტერმინისგან შედგება, ტერმინის „პროცესი" შინაარსი შორს არ სცდება ლექსიკონისეული განმარტების ძირითად მნიშვნელობას: პროცესი [ლათ. processus] –რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, რისამე განვითარების გზაა. [1, 415]. მსაზღვრელ ტერმინთან „პოლიტიკური" კომბინაციაში „პროცესი" წარმოადგენს ობიექტის, სუბიეტისა თუ მოვლენის დინამიკურ, მოძრაობასთან, მსვლელობასთან, ცვლილებასთან განვითარებასთან დაკავშირებულ მახასიათებელს.

პროცესი უნივერსალური ცნებაა, რომელიც ასახავს ბუნების და საზოგადოების რეალურ და მუდმივ მდგომარეობას. პ. სოროკინი ნაშრომში „სოციალური და კულტურული დინამიკა" „პროცესს" განმარტავს როგორც ნებისმიერი სახის მოძრაობას, გარდაქმნას, ან „ევოლუციას", ლოგიკური საგნის ნებისმიერ ცვლილებას დროში, მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა ეს ადგილმდებარეობის შეცვლას სივრცეში თუ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტის მოდიფიკაციას [2, 81]. იმის დასაზუსტებლად, თუ რისი თანმიმდევრული ცვლილება, მოძრაობა, განვითარების გზაა პოლიტიკური პროცესი, აუცილებელია განისაზღვროს მეორე ტერმინიც. რათა „პოლიტიკური პროცესის" ცნების განსაზღვრა აღიარებულ და შეთანხმებულ საწყის ტერმინოლოგიას დაეყრდნოს.

„პოლიტიკურის" ცნების გამოყენებისა და ახსნის არეალი კი საკმაოდ ფართოა. შეხედულებათა სიმრავლე გამოწვეულია პოლიტიკური ფენომენის სირთულით, მრავალწახნაგოვნებითა და გამოვლენათა სიმრავლით. „პოლიტიკურის" განსხვავებული ინტერპრეტაციების მიუხედავად, დაკვირვებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოლიტიკურთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც განიხილება ადამიანთა საქმიანობის ის სფერო, რომელიც უკავშირდება საზოგადოებაში ძალაუფლების დამყარებას, ფუნქციონირებასა და შეცვლას. მაქს ვებერის აზრით, პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ; სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით – ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ის, ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება – სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისთვის", რათა დატკბეს პრესტიჟულობის იმ გრძნობით, რასაც ადამიანს იგი ანიჭებს [3, 13]. პოლიტიკის მთავარი

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

საშუალებად ვებერი ძალადობას თვლის. რომელზეც ლეგიტიმური უფლება მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. ამდენად პოლიტიკაში უნდა გვესმოდეს პოლიტიკური კავშირის, ანუ სახელმწიფოს მართვა ან ამ მართვაზე ზეგავლენა.

ქართულ სიტყვაში „ძალაუფლება" = „უფლებას" აქვს ლეგიტიმაციის დატვირთვა, რაც მას განასხვავებს „ძალადობისგან". პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს ხანგრძლივ არსებობას და ეფექტურ საქმიანობას, თუ მხოლოდ ძალადობას დაეყრდნობა. აუცილებელია ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელიც განმტკიცებულ იქნება კანონებისადმი პატივისცემით. თანამედროვე პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიაში ნებაყოფლობითი თანხმობის წინამძღვრებად ითვლება მოსახლეობის მყარი და მტკიცე რწმენა იმისა, „1) რომ ხელისუფალთ სრული უფლებით და სავსებით სამართლიანად უკავიათ თავიანთი პოსტები; 2) რომ ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს იღებენ და ცხოვრებაში ატარებენ კანონიერი პროცედურების გზით; და 3) რომ ეს გადაწყვეტილებანი არ გადის საზოგადოდ აღიარებული, კანონიერი სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩარჩოებიდან და არ ხელყოფს იმას, რაც სამართლიანად ითვლება კერძო თუ პირადულ რაიმედ" [4, 114].

რადგან მასშტაბებით პოლიტიკური პროცესი ემთხვევა მთელ პოლიტიკურ სფეროს, ზოგიერთი მკვლევარი მას აიგივებს ზოგადად პოლიტიკასთან (რ. დოუზი), ან სტატუსისა და გავლენის შესაცვლელად პოლიტიკური სუბიექტების ქმედებათა მთელ ერთობლიობასთან (ჩ. მერიამი), ინსტიტუციონალური მიდგომის მხარდამჭერები სამთავრობო ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და ტრანსფორმაციასთან (ს. ჰანტინგტონი). დ. ისტონს ის ესმის, როგორც პოლიტიკური სისტემის რეაქცია გარემოს გამოწვევებზე. რ. დარენდორფი ყურადღებას ამახვილებს მდგომარეობისა და რესურსებისთვის დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ბრძოლის დინამიკაზე, რ. რიჩი და ჯ. მანჰაიმი - პოლიტიკურ პროცესს განიხილავენ, როგორც მოვლენების კომპლექსს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის ხასიათს და მათ გავლენას საზოგადოებაზე [5, 199].

სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში პოლიტიკური პროცესი განმარტებულია, როგორც ადამიანთა საქმიანობა სხვადასხვა ჯგუფში ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და მისი გამოყენებისათვის საკუთარი ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესების მისაღწევად [6]. დასავლეთში პოლიტიკური პროცესის თეორია უფრო ასოცირებულია სოციალური მოძრაობის, ცვლილებებისა და განვითარების თეორიებთან.

პოლიტიკურ პროცესს მიკრო და მაკრო განზომილებაში განიხილავენ. მიკროასპექტში პოლიტიკური პროცესი არის გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად პოლიტიკურ სუბიექტთა, აქტორთა (მოქალაქეები და მათი ორგანიზებული და არაორგანიზებულ ჯგუფები, სოციალური ერთობები, პოლიტიკური ინსტიტუტები, პოლიტიკური სისტემები) ურთიერთქმედებათა ერთობლიობა.

მაკროასპექტში პოლიტიკური პროცესი არის პოლიტიკური სისტემის დინამიკური მახასიათებელი, მისი კვლავწარმოებისა და განვითარების სტადიების თანმიმდევრული ცვლა. ე.ი. მაკროპოლიტიკურად გაგებული, პოლიტიკური პროცესი პოლიტიკური სისტემისა და მისი კომპონენტების რეპროდუქცია და ცვლილებაა. პოლიტიკური სისტემა იქმნება, ფუნქციონირებს და გარდაიქმება პოლიტიკური პროცესის შედეგად. სისტემა (ბერძნული- Systema - მთლიანი), შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთქმედებაში მყოფ ელემენტთა ერთობლიობა.

პოლიტიკური სისტემა შედარებით ახალი, გავრცელებული და საკამოდ პლურალისტურად ინტერპრეტირებული კატეგორიაა. „პოლიტიკური სისტემის" ცნების ყველაზე არსებით და ძირითად მახასიათებლად გამოყოფენ კანონიერი ფიზიკური იძულების გამოყენებას სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში. მეორენი დირებულებათა და ფასეულებათა ავტორიტარულ განაწილებას გამოყოფენ; მესამენი კი პოლიტიკურ სისტემაში გაარჩევენ ძალაუფლებას, მმართველობასა და ავტორიტეტს [7, 120].

„პოლიტიკური სისტემის" კატეგორიისადმი მიდგომათა მრავალგვარობა პოლიტოლოგიასა და სამართალში დამუშავებულია ვ. გურგენიძის მიერ, ამდენად მასზე არ შეეჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ რომ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა მოიცავს ინსტიტუციურ, კომუნიკაციურ, კულტურულ, ფუნქციონალურ, ნორმატულ შემადგენელ ელემენტებს, ანუ ქვესისტემებს, ხოლო პოლიტიკური სისტემის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს რეგულირების, ექსტრაქციული, დისტრიბუციული, რეაგირებისა და სიმბოლიზაციის [8,17- 50].

პოლიტიკურ პროცესის ორ ძირითად ფორმას გამოყოფენ: 1) პოლიტიკური მონაწილეობა, მასობრივი მოქმედება (არჩევნებში მონაწილე-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ობა, რეფერენდუმები, დემონსტრაციები და ა.შ.) და; 2) პოლიტიკური ფუნქციონირება - პროფესიული პოლიტიკურ საქმიანობა.

პოლიტიკური პროცესი ხელს უწყობს სოციალური ცვლილებების განხორციელებას. ადამიანები მათი მოქმედებით თუ უმოქმედობით გავლენას ახდენენ პოლიტიკურ სისტემაზე, ხელს უწყობენ ზოგიერთი მისი ელემენტების შენარჩუნებასა და განვითარებას, ზოგიერთის კი განადგურებას. ესა თუ ის პოლიტიკური ძალა მოჰყავთ ხელისუფლებაში და სხვებს უცხადებენ უნდობლობას, ისინი შესაბამის ფორმატში ახდენენ საკუთარი ინტერესების წარმომადგენლობასა და პრეზენტირებას და მოელიან საკუთარი ინტერესების ადექვატური გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებას ხელისუფლების მიერ.

პოლიტიკური სისტემა, როგორც საზოგადოების სპეციფიური ქვესისტემა განიცდის როგორც შიდა სოციალური (სოციალ-ეკონომიკური, კულტურული...), ასევე არა სოციალური (ბიოლოგიური, გეოლოგიური, გეოგრაფიული გარემო) და გარე ფაქტორების გავლენას, რაც პოლიტიკური სისტემისაგან მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას გააუმჯობესოს საკუთარი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რათა შეინარჩუნოს თავისთავადობა და მოახდინოს ადაპტირება თვითგადარჩენისათვის. პოლიტიკური სისტემა რეაგირებს როგორც შიდასისტემურ, ისე გარესისტემურ ზემოქმედებაზე, თუმცა სიცოცხლისუნარიან სისტემას რეაქტიულობასთან ერთად უნდა შეეძლოს იყოს პროაქტიული.

ზემოაღნიშნული და სხვა ფაქტორები იწვევენ ცვლილებებს პოლიტიკური სისტემის ელემენტებში, მათ ურთიერთქმედებაში ან მთლიანად სისტემაში. ცვლილება შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს: 1) ფუქციონირება- როცა სისტემა ინარჩუნებს ტრადიციასა და მემკვიდრეობითობას და ცვლილება არ სცილდება მის ძრითად მახასიათებლებს; 2) განვითარება- პოლიტიკური სისტემის მახასიათებლების თვისებრივი პოზიტიური ცვლა; 3) დაქვეითება- პოლიტიკური სისტემის მახასიათებლების თვისებრივი ნეგატიური ცვლა.

პოლიტიკური პროცესები განსაკუთრებით ინტენსიური საზოგადოებრივი გარდაქმნების პირობებში ხდება. განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება ეს პროცესი იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებშიც მინიმუმ "სამმაგი ტრანზიცია" მიმდინარეობს: 1) საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული მოკავშირე რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე; 2) ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულზე; 3) გეგმიური ეკონომიკიდან საბაზროზე.

გარდამავალი პერიოდის თავისებურება და სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის თავში მოიცავს ურთიერთშემცვლელი (უარმყოფელი) სხვადასხვა მოდელის ელემენტებს, მათ შორის წინააღდეგობებს (დაპირისპირებას) და ამ უკანასკნელთა გადაჭრის წესად გვევლინებიან. პოსტსაბჭოური გარდამავალი სისტემა, ხასიათდება ისეთი კანონზომიერებებით, რომლებიც არ იყო ნიშანდობლივი არც ადმინისტრაციულ მბრძანებლური ტოტალიტარული მოდელისთვის (ე.ი. იმ ფენომენისთვის რომელიც იცვლება) და არ არის დამახასიათებელი განვითარებული დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური სტრუქტურებისათვის და საბაზრო ეკონომიკისათვის (ე.ი. იმისთვის, რითაც ძველი სისტემა უნდა შეიცვალოს) [9, 5].

რეალობიდან გამომდინარე ტრანზიტოლოგიის თეორეტიკოსების მიერ თავდაპირველი მიდგომისგან განსხვავებით ტრანზიციად ითვლება ავტორიტარიზმიდან არა ყოველი გამოსვლა, არამედ მხოლოდ დემოკრატიაზე გადასვლა [10, 9]. იმ სიტუაციისთვის კი, როცა განუსაზღვრელია გადასვლის ხანგრძლივობის პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედეგებისა და პროცედურების განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხი, როცა ქმედებების წინასწარმეტყველება რთულია, ხოლო არჩევანი არასაკმარისად ნათელი, ჩვენი მოსაზრებით უპრიანია გამოვიყენოთ ტერმინი „ტრანსფორმაცია" [ლათ. transformatio], რომელიც - განიმარტება, როგორც გარდაქმნა, სახეცვლილება.

ტრანსფორმაციის საკითხის არასაკმარისი მეცნიერული დამუშავება აძნელებს გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მთლიანი სურათის შექმნას, ცალკეული ქვეყნებში ამ პროცესების მართვის კონცეფციის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებას.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. 1989.
2. Сорокин П. А. Социальная и культурная динамика. СПб.: РХГИ, 2000.
3. ვებერი, მ. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა / გერმ. თარგმნა გიორგი ბარამიძემ; რედ.: თემურ ფიფია. - თბ. 1994.
4. Шаран П. Сравнительная политология. Часть 1. М. 1992.
5. Соловьев А. Политология: Политическая теория, политические технологии. М. 2000.
6. http://humanitar.ru/page/ch4_11
7. ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია. თბ. 2011.
8. იხ. გურგენიძე ვ. პოლიტიკური სისტემის თეორია და პრაქტიკა. თბ. 2010.
9. იქვე.
10. Карл Т. Л. Шмитер Ф. Демократизация: Концепты, постулаты, гипотезы. Полис. 4 /2004

СУЩНОСТЬ И РОЛЬ ПОЛИТИЧЕСКОГО ПРОЦЕССА В ТРАНСФОРМИРУЮЩЕМ ОБЩЕСТВЕ

ДЖАМБУЛ НАЧКЕБИЯ - Докторант ГТУ

В труде понятие «политический процесс» определено в микроаспекте, как единство взаимодействий политических субъектов для достижения определенных политических целей и макроаспекте, как динамическая характеристика политической системы, воспризводство и последовательная перемена стадий его развития. Выделяются формы политического процесса: 1) политическое участие, массовое действие и 2) политическое функционирование - профессиональная политическая деятельность, которые способствуют осуществлению социальных перемен. Подчеркнуто, что внутренние и внешние социальные и несоциальные факторы вызывают разного характера перемены: 1) функционирование - когда система сохраняет традицию и наследственность и перемена не переходит его основные характеристики; 2) развитие - качественная позитивная перемена характеристик политической системы; 3) упадок - качественная негативная перемена характеристик политического процесса.

Указывается на особенности и сложности тех постсоциалистических стран, в которых происходит минимум «тройная транзакция»: 1) из союзной республики существующей в составе социалистической страны на независимую государственность; 2) с авторитарного правления на демкратическое; 3) с плановой экономики на рыночную. Кгда неопределена длительность периода перехода, результаты и процедуры, сложно пророчить действия, а выбор недостаточно ясен, целесообразно применить термин «трансформация».

ESSENCE OF POLITICAL PROCESS AND ROLE IN TRANSFORMED SOCIETY

JAMBUL NATCHKEBIA - Doctrate of GTU

The concept “political process “in thesis is defined in micro aspect as a whole complex of interaction of political entities for achieving some political aims and as a dynamic characteristic of political system in macro aspect, its reproduction and subsequent change of development stages. There are several forms of political process: 1.political participation, mass activity and 2. political function-professional-political activity, that provide the implementation of social changes. It is stressed that domestic and foreign social and nonsocial factors lead to different kinds of changes:1.function -when system maintains tradition and succession and change does not go beyond its main characteristics; 2.development-qualitative positive change of characteristics of political system; 3. decline- qualitative negative change of characteristics of political system.

The characteristics and difficulties of transitional period are indicated in those post soviet countries that are under minimum “ triple transition”: 1. within Soviet State from ally republic to independent state system. 2. from authoritarian administration to democratic one. 3.from planned economy to market. When it is not determined the duration of transitional period, it is difficult to predict its consequences, procedures and activities and choice is not clear, it will be better to use term” transformation”.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com